

საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ანოტირებული ბიბლიოგრაფიული სამიეზელი

№ 4

თბილისი
2007

საძიებელზე მუშაობდნენ: ე. იმნაძე, ლ. კარბელაშვილი,
ლ. მარინაშვილი, ნ. მაჭავარიანი, გ. რამიშვილი, ფ. ცარიტოვა

გამოცემის რედაქტორი: ვ. კიკილაშვილი

რედაქტორი: ჟ. ქვათაძე

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: მ. კალანდარიშვილი

კონსულტანტი კლასიფიკაციის საკითხებში: ლ. კაკულია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნ. ბახტაძე, თ. ქურციკიძე, ნ. ხვედელიანი შ.
პაპალაშვილი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა შეაგროვოს, ფართოდ წარმოაჩინოს და საქართველოს საკითხებით დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე.

განყოფილება აგრძელებს საინფორმაციო საძიებელ «საქართველოს» გამოცემას, რომელიც საქართველოს მცოდნეობით დაინტერესებულ პირებს და სამეცნიერო დაწესებულებებს მიაწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკაში შემოსულ ახალ წიგნებზე, ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის საინტერესო სტატიებზე.

წინამდებარე საძიებელი 2002 წელს გამოცემული საძიებლის გაგრძელებაა. ეს და შემდეგი რამდენიმე გამოცემაც ხარვეზების (2007 წლამდე) შევსებას ითვალისწინებს.

საძიებელში წარმოდგენილი მასალა განლაგებულია ქართველოლოგიის განყოფილებაში კატალოგებისა და კარტოთეკებისათვის გამოყენებული ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. იგი ანოტირებულია, რაც მკითხველს დასახელებული ლიტერატურის შინაარსისა და ძირითადი მონაცემების გაცნობის საშუალებას მისცემს.

მაჩვენებელს ერთვის პირთა ანბანური საძიებელი და აღწერილი ჟურნალების სია.

საინფორმაციო საძიებელზე მომუშავე თანამშრომლები სიამოვნებით მიიღებენ დაინტერესებულ პირთა შენიშვნებსა და წინადადებებს.

მეცნიერება

1. ავთანდილ ბენდუქიძე 80 : სტატიები და მოგონებები . – თბ. , 2001 . – 141 გვ.
კოლეგების, მეგობრების, მოწაფეების, ნათესავების სტატიები და მოგონებები მეცნიერისა და პედაგოგის, მათემატიკოს ა. ბენდუქიძის შესახებ; 80 წლისთავის გამო.
2. კომახიძე თ. აკადემიკოსების ოჯახი . – ბათუმი: გამომც. აჭარა , 2002 . – 355 გვ.
სამი მეცნიერის: ალექსანდრე ჯავახიშვილის, მამია კომახიძისა და ნინო ჯავახიშვილის ცხოვრება და სამეცნიერო საქმიანობა.
3. ომადახდილი მეცნიერები . – თბ. , 2000 . – 159 გვ.
ნარკვევების კრებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მეცნიერთა შესახებ.
4. საქართველოს პროფესორ-მასწავლებელთა რესპ. სამეცნ. კონფერენცია (8; 2001; თბილისი). პროფესორ-მასწავლებელთა VIII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები . – თბ. : მეცნიერება, 2001 . – 76 გვ.
გამოკვლევები ეხება ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის აქტუალურ პრობლემებს.
5. თურმანიძე ო. მეცნიერების განვითარება აჭარაში : სამეცნიერო კერები და მეცნიერი კადრები : მეცნიერული აზრის განვითარება // ლიტერატურული აჭარა. – 2001 . - № 5 . – გვ. 112 – 118 ; № 6 . – გვ. 108 – 113 ; № 7 . – გვ. 102 – 109.
6. ჯორჯიკია ნ. საბჭოთა რეჟიმი და ქართველი ინტელიგენცია – ურთიერთობის ერთი ეპიზოდი // კლიო . – 2002 . – № 15 . – გვ. 164 – 174. რეზ. რუს. ენაზე.
საბჭოთა სახელმწიფოს საკადრო პოლიტიკა 1928 – 1931 წლებში, ბრძოლა ძველი თაობის ეკონომისტებთან, რაც «კონდრატევიშჩინას» სახელით არის ცნობილი. წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში დაწყებული კამპანია პროფესორ-მასწავლებლებისაგან მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უპირობო აღიარების მოთხოვნით.

დამწერლობა

7. ხურცილავა ბ. ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის . – თბ. , 2002 . – 149 გვ.
ძველ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების კრიტიკული ანალიზი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ფილოლოგიური და ქრონოლოგიური ძიებანი.
8. ბოლქვაძე თ. ენა და დიდი ტრადიცია // ქართველური მემკვიდრეობა . – 2000 . – ტ. 4 . – გვ. 89 – 96. რეზ. ინგლ. ენაზე.
ენისა და დამწერლობის წარმოშობის საკითხები ინდური, ქართული, ბერძნული და სხვა ენების მაგალითზე.

9. ლიჩელი ვ. კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები : (ძვ. წ. IV – I საუკუნეებში): პროტოქართული დამწერლობა // ძიებანი: დამატებანი 5 . – 2001 . – გვ. 5 – 28. ტექსტი ინგლ. ენაზე გვ. 62 – 65.

უძველესი ქართული დამწერლობის ნიშნების აღმოჩენა კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე.

10. მიქაუტაძე მ. დ გრაფემა XI – XV საუკუნეთა მხედრულ ანბანში // ქართველური მეცნიერება. – 2000 . – ტ. 4 . – გვ. 251 – 253. რეზ. ინგლ. ენაზე.

გრაფემის არსებობა მხედრულით შესრულებულ ხელნაწერებსა და ლაპიდარულ წარწერებში.

11. ხურცილავა ბ. ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის . – თბ. , 2002 . – 149 გვ.

რეც. : სტეფანაძე ჯ. მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართული ასომთავრული ანბანის კვლევის საქმეში // კლიო . – 2003 . - № 17 . – გვ. 68 – 81. რეზ. რუს. ენაზე.

12. Ломоури Н. Еще раз о “Колхидской письменности” // საისტორიო ძიებანი. – 2001 . - № 4 . – გვ. 335 – 338.

Критика гипотезы ленинградского ученого Г. Ф. Турчанинова о происхождении “Майкопской Надписи “. Научная несостоятельность методики ее дешифровки.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

13. გურაბანიძე მ. გეოგრაფიული პუნქტების და ცნობების მონაცემთა ბაზა // კლიო . – 2001 . - № 12 . – გვ. 64 – 70. რეზ. რუს. ენაზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა ისტორიულ მეცნიერებაში. გეოგრაფიული პუნქტებისა და ცნობების მონაცემთა ბაზის პროექტირება ლეონტი მროველის თხზულებების – «ცხოვრება ქართველთა მეფეთა», «წინოს მიერ ქართლის მოქცევა» და «მეფე ქართლისა არჩილი» მიხედვით.

14. ჩხენკელი ნ. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განვითარების ტენდენციები ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის და საქართველოს ბიბლიოთეკებში // კავკასიის მაცნე. – 2004 . - № 9 . – გვ. 215 – 220. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ინტერნეტის გამოყენება ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში.

კულტურა . სამუზეუმო საქმე

15. ბართაია ნ. ირანული ჩანახატები ანუ ახალი ერა ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში . – თბ. : ინტელექტი , 2001 . – 131 გვ.

სპარსულ ენასა და ლიტერატურაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ქართველი ლექტორებისა და სტუდენტების ჯგუფის ირანში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. ნაწყვეტები დღიურებიდან.

16. თბილისის კულტურის სახელმწ. ინ-ტი. სტუდენტთა სამეცნ. კონფერენცია (7; 2000) . მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები . – თბ. , 2000 . – 46 გვ.

სტუდენტთა მოხსენებები ძველი ცივილიზაციის, ქართველი მწერლებისა და მხატვრების შემოქმედების, ქართული ქორეოგრაფიის, საეკლესიო მხატვრობის შესახებ.

17. იზორია ი. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დადიანისეული მემორიალური ექსპონატების შესახებ . – თბ. , 2001 . – 47 გვ.

დადიანისეული მემორიალური ნივთები ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებში.

18. კაკაბაძე ბ. სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომოს «ივერიის» საქმიანობის ქრონიკები / [რედ : ნანა ზარნაძე] . – სანკტ-პეტერბურგი : ჩრდილოეთის ივერია , 2000 . – 256 გვ.

სანკტ-პეტერბურგის ქართული დიასპორის ისტორია. სათვისტომოსადმი მიძღვნილი მასალები. წიგნს ერთვის ფოტოსურათები.

19. ქართული კულტურის ზოგიერთი ორიენტაცია: სემინარების ციკლი . – თბ., 2000 . – 35 გვ.

ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურების შედარებითი ანალიზი ლალი სურმანიძის ნაშრომში «ქართული კულტურის ზოგიერთი ორიენტაცია (ძალადობა და გენდერი)». ნაშრომი გამოქვეყნებულია ქართველ და გერმანელ ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის მიერ.

20. ყულიჯანიშვილი ა. კულტუროლოგია. – თბ. : უნივერსალი, 2001.

ქართული, აღმოსავლური და ევროპული კულტურების ურთიერთმიმართება.

21. ხოტივარი – იუნგერი შ. ქართველები ბერლინში . _ თბ. : საქ. პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკა, 2001. – 68 გვ.

გერმანულ-ქართული ურთიერთობების ისტორია. ქართველი სტუდენტები (კ. გამსახურდია და გრ. რობაქიძე), ქართული ფილმები და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ბერლინში. ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ დადგმული სპექტაკლები, ლოტბარ ძუკუ ლოლუას მიერ მეგრულ-აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის შეკრება და შესწავლა.

22. Gabasvili R. Contribution of the Caucasian Race to World Civilization : In Georgian and English. – Tb. : [Gulani] , 2001 . – 47 p.

ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის რევაზ გაბაშვილის ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის «კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში» ქართული და ინგლისური თარგმანი. ნაშრომი წარმოაჩენს ქართული ენისა და კულტურის როლს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

23. Gabeskiria G. The heritage of Georgia : ...Where a Georgian comes to... [Tb.]. , 2001 . – 281 p.

საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა.

24. გაბუნია გ. ქართული კულტურა ბაგრატ მესამის ხანაში

// კლიო . – 2002 . - №15 . – გვ. 50 – 63. რეზ. რუს. ენაზე.

X – XI ს.ს. – ქართული კულტურის «ოქროს ხანის» დასაწყისი: ცვლილებები ქართულ დამწერლობაში; წარმატებები განათლების, მეცნიერების, საეკლესიო და საერო მწერლობის, ეროვნული ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

25. გამყრელიძე თ. საქართველო ევროპაა თუ აზია? : ქართული სახელმწიფოებრიობა, აღმოსავლური ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა // ACADEMIA : ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 3 – 8. რეზ. ინგლ. ენაზე.

26. გელენავა ი. აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში // კლიო . – 2004 . - № 22 . – გვ. 63 – 72. რეზ. რუს. ენაზე.

ქართულ-აფხაზური თეატრალური და მუსიკალური ურთიერთობები და ქართული ინტელიგენციისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 – 21 წწ.) როლი აფხაზეთში კულტურის განვითარების საქმეში.

27. გელენავა ი. აფხაზეთში კულტურული ცხოვრების ერთი ასპექტი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში // კლიო . – 2004 . - № 21 . – გვ. 76 – 89. რეზ. რუს. ენაზე.

ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ დადგმული სპექტაკლები, ლოტბარ ძუკუ ლოლუას მიერ მეგრულ-აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის შეკრება და შესწავლა.

28. გიგბა თ. ფრანგული წიგნი თბილისში // ანალები . – 2002 . - № 2 . – გვ. 26 – 29.

1998 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ა. დიუმას სახ. ფრანგულ-ქართული კულტურული ცენტრის დაარსებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

29. დგებუაძე მ. , როსტიაშვილი ნ. ეგვიპტური მცირე პლასტიკის კოლექცია // არქეოლოგიური ჟურნალი. – 2004 . - № 3 . – გვ. 125 – 134 . რეზ. გერმ. ენაზე.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილებაში დაცული ეგვიპტურ ქანდაკებათა ჯგუფის აღწერილობა.

30. ზარნაძე მ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ ჩატარებული სამეცნიერო სესიები : (1997 – 2000 წწ.) // ქუთაისის მუზეუმის მასალები : კრებული 12 . – ქუთაისი, 2000 . – გვ. 121 – 125.

სესიებზე მოხმენილი მოხსენებების ჩამონათვალი.

31. კობაძე ქ. დასავლეთი თუ რუსეთი? // კრიტიკიუმი . – 2001. - № 4 . – გვ. 94 – 98.

XIX ს–ის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენციის კულტურული ორიენტაციის საკითხი.

32. ლეჟავა ა. აფხაზეთის კულტურა : (1900 – 1921 წწ.) : (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1999 წლის გრანტით შესრულებული ნაშრომი) // კლიო . – 2001 . - № 10 . – გვ. 53 – 60.

33. ლიჩელი ვ. კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები : (ძვ. წ. IV – I საუკუნეებში) : ელინიზმი და ძველი საქართველო // ძიებანი: დამატებანი 5 . – 2001 . – გვ. 29 – 61. ტექსტი ინგლ. ენაზე გვ. 65 – 70.

ძვ. წ. IV_ I საუკუნეების კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები იმდროინდელ სამყაროსთან – ელინისტურ ცივილიზაციასთან მიმართებაში.

34. მღებრიშვილი ა. მასალები ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული : ისტორიის სერია: 1 . – 2001 . – გვ. 40 – 44. რეზ. რუს. ენაზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურული მიღწევები საბჭოთა პერიოდში. 1956 წლის ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა თბილისში, ოსი კომპოზიტორებისა და ცეკვის ოსტატების მონაწილეობა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში.

35. ოქრუაშვილი ი. დაღესტნური ისპიკური ლანგრები // ეთნოლოგიური ძიებანი. – 2000 . - № 1 . – გვ. 313 – 321. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცული დაღესტნის სამხრეთ რაიონის სოფელ ისპიკში დამზადებული ლანგრების აღწერილობა.

36. სანიკიძე თ. თბილისში სამუზეუმო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ : (იდეა ახლო წარსულისა შორეული მომავლისათვის) // კავკასიის მაცნე: (სპეციალური გამოცემა [2]) . – 2003 . – გვ. 51 – 54. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

37. ქანთარია მ. კავკასიური ცივილიზაციის რაობის პრობლემები // ანალები. – 2003 . - 1 2 . – გვ. 24 – 30. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მკვლევართა სხვადასხვაგვარი მიდგომა კავკასიის ცივილიზაციის არსებობის ფაქტთან. 1999 წ. , ქ. როსტოვში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები.

38. შარიქაძე თ. მარაო : (საქართველოს მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების მიხედვით) // კავკასიის მაცნე. – 2003 . - № 8 . – გვ. 124 – 128. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ქალის სამკაულის წარმოშობის ისტორია და მუზეუმში დაცული ცალები.

39. შოშიტაშვილი ნ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი დღეს : (მუზეუმი 150 წლისაა) // ეთნოლოგიური ძიებანი . – 2003 . - № 2 . – გვ. 258 – 268. რეზ. რუს. ენაზე.

40. ჩიქოვანი ნ. კავკასიის, როგორც ერთიანი კულტურული სივრცის საკითხისათვის // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2002 . - № 11 . – გვ. 36 – 44. რეზ. ინგლ. ენაზე.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები

საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ. საქართველო – როგორც კავკასიური სუბცივილიზაციის ან ერთიანი კავკასიური კულტურული სივრცის ნაწილი.

41. ჩიქოვანი ნ. კულტურის მარგინალობა – გამოწვევა თუ შესაძლებლობა? // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2002 . - № 13 . – გვ. 169 – 179. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული კულტურის ცივილიზაციური სტატუსი, მარგინალობისა და განაპირულობის როლი მის ისტორიაში. ქართული კულტურის შუალედურობა სასაზღვრო (განაპირა) და მარგინალურ (სიმბიოზურ) კულტურად ყოფნას შორის.

42. ჩხაიძე გ. გუსტავ რადე – კავკასიური მუზეუმის დამაარსებელი // კავკასიის მაცნე . – 2001 . - № 4 . – გვ. 61 – 67. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

გერმანელი ბუნებისმეტყველისა და ეთნოგრაფის გუსტავ რადეს ცხოვრება და მოღვაწეობა თბილისში 1862 – 1903 წწ.

43. ჩხაიძე გ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის სათავეებთან // კავკასიის მაცნე . – 2001 . - № 3 . – გვ. 73 – 87. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების დაარსების ისტორია 1852 წ.

44. წენგუაშვილი კ. კომუნისტური რეჟიმის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის პირველი ეტაპის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა // კლიო . – 2004 . - № 24 . – გვ. 123 – 133. რეზ. რუს. ენაზე.

45. წენგუაშვილი კ. ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი 1921 – 1925 წწ. : (ისტორიოგრაფიული ანა-ლიზი) // კლიო . – 2004 . - № 24 . – გვ. 107 – 122. რეზ. რუს. ენაზე.

46. Лежава С. Разговор о грузинской культуре // Литературная Грузия. – 2000 . - № 1 – 6 . – с. 239 – 266.

В статье рассмотрены сферы традиционной культуры Грузии на примере грузинской песни, музыки, церковной, городской и сельской архитектуры, живописи, грузинской хореографии, народной поэзии, городской культуры г. Тбилиси, где выражены самобытность и духовность феномена “ Грузия “.

47. Чиковани Н. Грузия на перекрестке цивилизаций // კავკასიის მაცნე . – 2001 . - № 3 . – გვ. 155 – 159. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Пять версий цивилизационной идентичности Грузии.

ენციკლოპედიები. ცნობარები. ლექსიკონები. ბიბლიოგრაფიები

48. აკადემიკოს ილია გაგულაშვილის გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ანოტირებული ბიბლიოგრაფია . – ქუთაისი . , 2000 . – 31 გვ.

ბიბლიოგრაფია მოიცავს ი. გაგულაშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნებს,

სტატიებს, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მასალებს.

49. ბესიაშვილი მ. ფრანგულ-ქართული ეკონომიკური ლექსიკონი . – თბ. , 2002 . – 103 გვ.

50. ზანდუკი: ილია აბულაძის ნაშრომები საეკლესიო საკითხებზე: თემატური საძიებელი . – თბ. : საქ. საპატრიარქოს გამ-ბა , 2001 . – 16 გვ.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ილია აბულაძის (1901 – 1968) ბიოგრაფია და სამეცნიერო მოღვაწეობა, წიგნში დაბეჭდილია ძველი ქართული მწერლობის და საეკლესიო საკითხების მომცველი მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფიული საძიებელი.

51. ზარქუა გ. გრიგოლ ლორთქიფანიძე : (1881 – 1937) ბიბლიოგრაფია. – თბ. , 2002 . – 46 გვ.

პოლიტიკოსისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწის ნაშრომების, ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი მასალის ჩამონათვალი.

52. პროფესორ დარეჯან მეგრელიძის გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია // კლიო . – 2004 . - №2 . – გვ. 183 – 204.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. 1945 – 2004 წწ. გამოქვეყნებულ ნაშრომთა ნუსხა.

53. ჟორდანიას ო. , გაბედავა მ. საქართველოს წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები : (1918 – 1919) . – თბ. : სახ. უნ-ტი , 2001 . – 103 გვ.

მოკლე ბიოგრაფიული ლექსიკონი.

54. სამხედრო ტერმინთა ინგლისურ-ქართული ლექსიკონი . – თბ. , 2001 . – 224 გვ.

ლექსიკონი მოიცავს 8000-მდე სიტყვას, შესაბამის ფრაზეოლოგიას და იდიომატიკას. დანართის სახით წარმოდგენილია ნატოს სამხედრო სიმბოლოთა ქართული განმარტებები.

55. საქართველო: ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი 1 . – თბ. , 2000 . – 66 გვ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ გამოცემული საძიებელი ინფორმაციას აწვდის ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი ლიტერატურის (წიგნები, საჟურნალო სტატიები) შესახებ.

56. საქართველო: ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი I (2) . – თბ. , 2001 . – 94 გვ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ გამოცემულ საძიებელში წარმოდგენილი მასალა მკითხველს აწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკაში შემოსულ ახალ წიგნებზე, ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ სტატიებზე.

57. საქართველო : ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი 2 (3) . – თბ. , 2001 . – 139 გვ.

ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემოსული ქართველოლოგიური წიგნებისა და ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ხასიათის სტატიების შესახებ. ერთვის პირთა ანბანური საძიებელი და აღწერილი ჟურნალების სია.

58. ქართულ-აფხაზური სასაუბრო. _ თბ. , 2000. - 170 გვ.

59. ჯანგიძე ვ. ქართულ-თურქული ლექსიკონი . [1-ლი გამოც.] . _ თბ. : სამშობლო , 2002 . _ 176 გვ.

60. ჯიბლაძე ნ. გერმანულ-ქართული ეკონომიკური ლექსიკონი. – თბ. , 2002 . – 79 გვ.

61. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის შრომები // ენათმეცნიერების საკითხები . – 2001 . - № 3 . – გვ. 17 – 30.

სემიოლოგის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.

62. თოფურია ვ. , ქალდანი მ. სვანური ლექსიკონი . – თბ. , 2000 . – 908 გვ.

რეც. : გასვიანი გ. უძველესი ქართველური ენის ძეგლი: (სვანური ლექსიკონი) // ანალები . – 2001 . - №1 . – გვ. 92 – 95. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

63. იმნაიშვილი ვ. რეკომენდებულ ფორმათა სიჭრელე «ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში” // ენათმეცნიერების საკითხები . – 2001 . - № 1 . – გვ. 60 – 71.

«ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მეორე (შევსებული) გამოცემის განხილვა.

64. კილაძე ს. XX საუკუნის საქართველოს დიპლომატია: ენციკლოპედიური ლექსიკონი: ნაწილი I: (გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ 1999 წლის №№ 1 - 6 – ში) // ახალი დროება . – 2000. - №1 (7) . – გვ. 36 – 42.

ხელშეკრულებები საქართველო-უკრაინისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფო წარმონაქმნებთან 1918 – 1921 წლებში.

65. მზექალა შანიძის ბიბლიოგრაფია // ენათმეცნიერების საკითხები . – 2001 . - № 1 . – გვ. 80 – 84.

ენათმეცნიერის შრომების და მასზე გამოქვეყნებული წერილების ბიბლიოგრაფია.

66. ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომთა სია // ძიებანი : დამატებანი 4: ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები. – 2001 . – გვ. 8 – 20.

67. ოთარ ჯაფარიძის ნაშრომების სია // ძიებანი: დამატებანი 6 : კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები . – 2001 . – გვ. 8 – 13.

ისტორიკოსის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია (შეადგინეს რ. რუსიშვილმა და ბ. მაისურაძემ).

68. პროფესორ ალექსანდრე ონიანის შრომების სია // ენათმეცნიერების საკითხები . – 2001 . - № 2 . – გვ. 80 – 83.

ენათმეცნიერის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.

69. პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია // ენათმეცნიერების საკითხები. – 2001 . - № 3 . – გვ. 153 – 162.

ენათმეცნიერის შრომების სია.

70. პროფესორ ივანე იმნაიშვილის შრომების სია // ენათმეცნიერების საკითხები . – 2001 . - № 1 . – გვ. 13 – 19.

ენათმეცნიერის შრომთა ბიბლიოგრაფია.

71. ცოფურაშვილი თ. კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი // ენათმეცნიერების საკითხები. – 2000 . - № 2 . – გვ. 35 – 38.

ძველი ქართული მწერლობის ლექსიკონის «წმინდისა კვირილე ალექსანდრიელისა ლექსნი მათეს თავისა სახარებისა ძნელოვანთა სიტყუათა განმარტებაჲ ლექსიკონი“-ს განხილვა.

72. Asfalg Julius. Schriftenverzeichnis (1954 – 1990) // ენათმეცნიერების საკითხები. – 2000 . - №4 . – გვ. 62 – 76.

გერმანელი ქართველოლოგის იულიუს ასფალგის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.

73. Fahrnich Heinz. Wiss. Veroffentlichungen // ენათმეცნიერების საკითხები . – 2001 . - № 1 . – გვ. 31 – 40.

გერმანელი ქართველოლოგის ჰაინც ფენრიხის შრომთა ბიბლიოგრაფია.

74. Marchev, Y. : Deutsch – Georgisches Worterbuch . – Freudenstadt, 1999. 606 Seiten.

რეც. : Christophe B. Marchev, Yolanda: Deutsch – georgisches Worterbuch: Freudenstadt 1999 . XXIII + 606 Seiten: [შვეიცარელი ქართველოლოგის იოლანდა მარშევის მიერ შედგენილი გერმანულ-ქართული ლექსიკონი] // ენათმეცნიერების საკითხები . – 2000 . - № 4 . – გვ. 54 – 57.

75. Outtier Bernard. Bibliography : (Compiled by the Author) // ქართველოლოგი . – 2001 . - №8 . – გვ. 63 – 78.

ფრანგი ქართველოლოგის ბერნარ უტიეს ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.

ქ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა

76. ზამბახიძე ა. ფიქრები ქართულ ტელემაუწყებლობაზე : (პირველი არხის შუქჩრდილები). – ბათუმი_თბილისი: ანზა, 2001 . – 82 გვ.

ქვეყნის მთავარი სატელევიზიო არხის დღევანდელი სახე, მისი მიმართულება, განვითარების ტენდენციები, საზოგადოების და პრესის დამოკიდებულება და სხვ.

77. მესხი ს. წერილები აჭარაზე 1875 – 1882. – ბათუმი . : ალიონი , 2000 . – 212 გვ.

აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების პერიოდის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენები სერგეი მესხის პუბლიცისტიკაში.

78. ნაფეხურები 2 : (პუბლიცისტური კრებული) . – თბ. , 2001 . – 336 გვ.

ექვნიკია პროფესორ ნოდარ ტაბიძის 70 წლისთავს. იბეჭდება მისი სტუდენტების პუბლიკაციები. აქვეა მოკლე ცნობები ამ ჟურნალისტების შესახებ.

79. ნოდარ ტაბიძე – ქართული ჟურნალისტიკის მამკალი . – თბ. , 2001 . – 192 გვ.

მკვლევარ და პუბლიცისტი ნოდარ ტაბიძის ცხოვრება და სამეცნიერო საქმიანობა.

80. ქართული მწერლობა 30 ტომად. ტ. 18 . სერგეი მესხი . – თბ. : ნაკადული , 2001 . – 624 გვ.

გაზეთ «დროებაში“ (1869 – 1883 წლებში) გამოქვეყნებული სერგეი მესხის წერილები.

81. შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია . ტ. 1 . – თბ . 2001 . – 656 გვ.

ქართული ეროვნული ჟურნალისტიკის წარმოშობისა და განვითარების გზები. რევოლუციამდელი და გასაბჭოების შემდეგდროინდელი ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა.

82. ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830 – 1860 წლები) . – თბ. : სახ. უნ-ტი , 2002 . – 284 გვ.

დიმიტრი ყიფიანი და 1832 წლის შეთქმულება, მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა, მეცნიერული ნააზრევნი, მთარგმნელობითი საქმიანობა, ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები, თეატრალური მოღვაწეობა და სხვ.

83. აფხაძე ზ. გაზეთ «იმერეთის“ ეროვნული პროგრამა // კლიო . – 2003 . -№ 17 . – გვ. 205 – 217. რეზ. რუს. ენაზე.

ეროვნული, დემოკრატიული მიმართულების ორგანო (1912 – 1915 წწ.).

84. აფხაძე ზ. რუსეთის მე-4 სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები და გაზეთი «იმერეთი” // კლიო . – 2003. - № 18 . – გვ. 138 – 150. რეზ. რუს. ენაზე.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ «იმერეთის” პოლიტიკური დებატები სოციალ-დემოკრატებთან. რედაქციის აქტიური მონაწილეობა სოციალ-ფედერალისტთა კანდიდატ კიტა აბაშიძის წინასაარჩევნო კამპანიაში.

85. ბენდიანიშვილი ა. ისტორიული პროცესი არჩილ ჯორჯაძის შემეცნებაში // ანალიზი . – 2001 . - № 1 . – გვ. 41 – 47. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

პუბლიცისტის (1872 – 1913) მსოფლმხედველობის ანალიზი.

86. გაბუნია ლ. განათლების საკითხები კირილე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში // ქუთაისის მუზეუმის მასალები : კრებული 12 . – ქუთაისი, 2000 . – გვ. 44 – 48. რეზ. ინგლ. ენაზე.

პუბლიცისტი, რედაქტორი და საზოგადო მოღვაწე.

87. გაჩეჩილაძე მ. არჩილ ჯაჯანაშვილის პუბლიცისტური წერილები // ლიტერატურული ძიებანი : 22 . – 2001 . – გვ. 391 – 398. რეზ. ინგლ. ენაზე.

პუბლიცისტის, კრიტიკოსის და მთარგმნელის ბიოგრაფია და შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

88. დარჩაშვილი მ. ეროვნული საკითხი ვლ. დარჩაშვილის პუბლიცისტიკაში // კლიო . – 2003 . - № 17 . – გვ. 157 – 167. რეზ. რუს. ენაზე.

ჟურნალ «ალიონის» (1908წ.) დამაარსებელი, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელი.

89. დაუშვილი რ. ზეიმები გერმანიის ქართულ კოლონიაში : (30 – 40 – იანი წლები) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2001 . - № 10 . – გვ. 144 – 152. რეზ. ინგლ. ენაზე.

მასალები შობა-ახალი წლის, ნინოობის და 26 მაისის საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების მიერ – ჟურნალ «დამოუკიდებელი საქართველოს» ფურცლებზე. (გამოდიოდა პარიზში 1926 – 37 წწ. ი. გობეჩიას რედაქტორობით).

90. ვაჭრიძე გ. კირილე ლორთქიფანიძის «საბანკო არქივში» დაცული მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ : (XIX საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის ათიანი წლები) // ქუთაისის მუზეუმის მასალები: კრებული 12 . – ქუთაისი , 2000 . – გვ. 35 – 43. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი საბუთებისა და ბეჭდური გამოცემების ფონდის აღწერილობა.

91. ზარნაძე მ. კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები : (ქრონიკა) // ქუთაისის მუზეუმის მასალები : კრებული 12 . – ქუთაისი , 2000 . – გვ. 19 – 22.

ცნობები პუბლიცისტისა და კრიტიკოსის კ. ლორთქიფანიძის შესახებ.

92. ზვიადაძე ც. კირილე ლორთქიფანიძის მემორიალური ნივთები // ქუთაისის მუზეუმის მასალები : კრებული 12 . – ქუთაისი , 2000 . – გვ. 33 – 34.

ქუთაისის მუზეუმის ფონდსაცავებში დაცული მემორიალური ნივთების აღწერილობა.

93. თოფურიძე ქ. თბილისის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან : (პრესა და გამომცემლობები 1985 – 1992 წლებში)

// კლიო . – 2003 . - №19 . – გვ. 174 – 186. რეზ. რუს. ენაზე.

94. ირემაშვილი ნ. XX საუკუნის დამდეგის სოციალისტ-ფედერალისტური პრესა აფხაზეთის შესახებ // საისტორიო ძიებანი . – 2002 . - № 5 . – გვ. 159 – 169. რეზ. რუს. ენაზე.

ფედერალისტური მიმართულების პერიოდულ ორგანოებში («სახალხო გაზეთი», «სახალხო ფურცელი», «სახალხო საქმე») გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ამხელენ იმპერიული ძალების ანტიქართულ პოლიტიკას აფხაზეთში და სახავენ გზებს აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთობის ნორმალიზებისთვის.

95. კაპანაძე გ. ქართული მედია კორუფციასთან ბრძოლაში საზოგადოების როლის შესახებ // კავკასიის მაცნე . – 2004 . - № 10 . – გვ. 213 – 215. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ქართულ საზოგადოებაში ანტიკორუფციული ცნობიერების დეფიციტი და მასმედიის საშუალებების როლი გაზარდოს მოსახლეობის პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულების მიმართ.

96. კაპანაძე გ. ქართული მედია საბაზრო რეფორმების სოციალური ფასის შესახებ // კავკასიის მაცნე . – 2004 . - № 10 . – გვ. 210 – 212. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესისთვის დამახასიათებელი სირთულეები და მასმედიის საშუალებების არასაკმარისი აქტიურობა მოსახლეობისთვის განემარტათ რადიკალური სოციალური თუ ეკონომიკური რეფორმების თანმხლები ნეგატიური მოვლენების მიზეზები.

97. კველიშვილი მ. ქორწინება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი კავკასიაში “СМОМПК”-ს მიხედვით // კლიო . – 2003 . - № 20 . – გვ. 173 – 183. რეზ. რუს. ენაზე.

“СМОМПК” – “Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ – (პერიოდული ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1881 – 1915 წწ. , 1926 და 1929 წწ. მახაჩკალაში).

98. კოპაძე ქ. სწავლა-აღზრდის განმანათლებლური კონცეფცია «დროების» (1866 – 1885) ფურცლებზე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2001 . - № 10 . – გვ. 84 – 88. რეზ. ინგლ. ენაზე.

თერგდალეულებისა და მათი ერთ-ერთი მთავარი ორგანოს, გაზ. «დროების» პოზიცია განათლების სისტემის მოწყობის საკითხში.

99. კოპაძე ქ. ქართული ჰიმნოგრაფიის პრობლემები გაზეთ «დროების» ფურცლებზე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2000 . - № 9 . – გვ. 133 – 138. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული გალობისადმი მიძღვნილი სტატიები.

100. კოპაძე ხ. გაზეთ «საქართველოს» დაარსება და ქართული საზოგადოებრივი აზრი 1915 წელს // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული : ისტორიის სერია: 1 . – 2001 . – გვ. 85 – 90. რეზ. ინგლ. ენაზე.

101. კუბლაშვილი თ. აჭარა მე – 20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პრესაში // კავკასიის მაცნე . – 2003 . - № 7 . – გვ. 55 – 62. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

აჭარის პოლიტიკური ვითარების მიმოხილვა ქართული პრესის მიხედვით («ბათუმის გაზეთი», «ივერია», «ცნობის ფურცელი», «ერთობა», «საქართველო» და სხვ.).

102. ლომიძე გ. GEORGICA (24, jahrgang 2001 Hrsg : Heinz Fahrnich) // კრიტიკრიუმი . – 2002 . - № 5 . – გვ. 134 – 135.

ჟურნალ «გეორგიკის» 24 – ე ნომრის მიმოხილვა. სტატიათა ავტორები : ლუიჯი

მაგაროტო, გოლდი ბლანკოფ-შარი, მარჩელო ჩერკი, ჰაინც ფენრიხი, მანფრედ კრებერნიკი, ნ. კაკაბაძე და სხვ.

103. მიქიაშვილი ო. ქართული პრესის ენის ჩამოყალიბების ისტორიისათვის: («საქართველოს გაზეთი», «ქართული გაზეთი») // კავკასიის მაცნე . – 2004 . - № 9 . – გვ. 143 – 147. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

რუსული ენის გავლენა პირველ ქართულ გაზეთებზე (1819 – 1821 წწ.).

104. მუმლაძე ც. კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივის კატალოგი // ქუთაისის მუზეუმის მასალები : კრებული 12 . – ქუთაისი , 2000 . – გვ. 23 – 29. რეზ. ინგლ. ენაზე.

არქივის მასალებში წარმოჩენილია პუბლიცისტის დედაწლი ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში.

105. ნებიერიძე – ვაჩნაძე მ. ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხები ჟურნალში «ბედი ქართლისა» // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2000 . - № 9 . – გვ. 54 – 59. რეზ. ინგლ. ენაზე.

«ბედი ქართლისა» (პარიზში გამომავალი ჟურნალი) ფურცლებზე გამოქვეყნებული ქართული ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი წერილების მიმოხილვა.

106. ნიკოლეიშვილი მ. კირილე ლორთქიფანიძე და ქართული სამეცნიერო ინტელიგენცია XIX საუკუნის 60 – 70-იან წლებში // ქუთაისის მუზეუმის მასალები : კრებული 12 . – ქუთაისი, 2000 . – გვ. 8 – 18. რეზ. ინგლ. ენაზე.

პუბლიცისტ კ. ლორთქიფანიძისა და ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების პ. ნაკაშიძის, ნ. ნიკოლაძის, გ. ქიქოძის და სხვათა როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებაში.

107. რუსაძე ი. კირილე ლორთქიფანიძის უცნობი ნაშრომი // ქუთაისის მუზეუმის მასალები : კრებული 12 . – ქუთაისი , 2000 . – გვ. 116 – 120. რეზ. ინგლ. ენაზე.

კ. ლორთქიფანიძის პირად არქივში დაცული ლექსიკოგრაფიული მასალის ანალიზი.

108. სამსონაძე მ. საქართველოს ისტორიის საკითხები გაზეთ «ტიფლისკიე ვედომოსტის» ფურცლებზე // კლიო . – 2001 . - № 11 . – გვ. 187 – 199. რეზ. რუს. ენაზე.

რუსულენოვანი გაზეთის (1828) დაარსების ისტორია. კავკასიაში ცარიზმის კურსის გატარების პერიოდული ორგანო.

109. სანიკიძე ი. «ცისკარი» – კონსერვატორთა და რეფორმატორთა ასპარეზი // ლიტერატურული აჭარა . – 2001 . - №2 . – გვ. 85 – 88.

ჟურნალის დაარსება 1857 წელს (პირველი რედაქტორი ივ. კერესელიძე) და თაობათა შორის დაპირისპირება მის ფურცლებზე.

110. ქოჩიაშვილი გ. კირილე ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა

// ქუთაისის მუზეუმის მასალები : კრებული 12 . – ქუთაისი , 2000 . – გვ. 30 – 32.

ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ბიბლიოთეკის აღწერილობა (დაცულია ქუთაისის მუზეუმის ფონდებში).

111. ყიფიანი ნ. აღმანახი ატარებს დიდი ქართველი მხატვრის, მეცნიერი ბიზანტოლოგის, მოდერნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სამშობლოს, საქართველოს იძულებით მოწყვეტილ ილია ზდანევიჩის _ ილიაზდის სახელს // ილიაზდი . – 2002 . -

№1 . – გვ. 2.

ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორიის მიერ ახალი გაზეთ – აღმანახის «ილიაზდი» დაარსება და მიზნები.

112. შამილიშვილი მ. გაზეთი «ბათომის ცხოვრება» (1921 წელი) // ლიტერატურული ძიებანი : 22 . – 2001 . – გვ. 383 – 390. რეზ. ინგლ. ენაზე.

სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური ორგანოს პუბლიკაციათა განხილვა (პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 26 იანვარს).

113. შენგელია ნ. ეროვნული «თვითმყოფადობისა და ავტოკეფალიის პრობლემა ჟურნალ განთიადში» (1913 წ.) // კავკასიის მაცნე . – 2004 . - № 10 . – გვ. 181 – 184. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1913 წ. იანვარ-თებერვალში ქუთაისში გამომავალ საღვთისმეტყველო, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ ჟურნალ «განთიადში» გამოქვეყნებული მასალების მიმოხილვა.

114. ჯაფარიძე შ. ქართველი სამღვდელოების ყოველკვირეული გაზეთი «სიტყვა» // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2000 . - № 9 . – გვ. 138 – 143. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამღვდელოების წარმომადგენელთა პოზიცია ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით გაზეთის («სიტყვა» 1906 წ.) ფურცლებზე.

115. Сигуа С. От “Н2 SO4” до “Мемарцхенеоба” // Литературная Грузия . – 2002 . - № 1 – 6 . – С. 85 – 151.

Теоретические воззрения печатных органов грузинских футуристов, вышедших в 1922 – 28 годах : “Н2 SO4”, “Литература да схვა”, “Дроули” и “Мемарцхенеоба”.

116. Тангирвердиева Э. Кавказский календарь // კავკასიის მაცნე . – 2001 . - № 4 . – გვ. 149 – 152. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Из истории издания “Кавказского Календаря” (1846 – 1917). Обзор некоторых статей, касающиеся научного описания народов Кавказа и их языков.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი

117. იმნაიშვილი ვ. სინას მთიდან გრაცამდის: (გრაცის ქართული ხელნაწერების ისტორია) . – თბ. , 2001 . – 54 გვ.

სინას წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული ძველი ქართული ხელნაწერების ავსტრიაში, გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მოხვედრის ისტორია.

118. ალექსიძე ზ. ალბანური ენის გრამატიკული და ლექსიკური აღწერისათვის : (წინასწარი შენიშვნები) // ენათმეცნიერების საკითხები . – 2001 . - № 4 . – გვ. 3 – 24.

1976 წ. სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ორი ქართული ხელნაწერის აღწერილობა, რომელთა ზედა ტექსტი ქართულია, ხოლო ქვედა წარმოადგენს კავკასიის ალბანეთის მწერლობის ძეგლს; განხილულია ამ ძეგლის (ლიტერგიკული საკითხავი «ლექციონარი») ენა, ლექსიკა და გრამატიკული ფორმები.

119. გაბიძაშვილი ე. ქართველ წმინდანთა და დღესასწაულთა მოსახსენებელი დღეები ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით // მრავალთავი . – 2001 . - № 19 . – გვ. 96 – 109. რეზ. რუს. ენაზე.

120. გვარამე ხ. ერთი ხელნაწერის დათარიღებისათვის // გორის სახ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული : ისტორიის სერია : 1 . – 2001 . – გვ. 51 – 57. რეზ. რუს. ენაზე.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერი და მასზე დართული ანდერძის ტექსტი, რომელიც მუზეუმს ქვედა ბარის ეკლესიამ გადასცა. ანდერძში წარმოდგენილ არგუმენტებზე დაყრდნობით დადგინდა მისი შედგენის თარიღი, რომელიც ემთხვევა კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილ თარიღს – 1013 წელს.

121. კაკოიაშვილი ი. მაქსიმე აღმსარებლის ანტიმონოფიზიტურ-ანტიმონოთელიტური ტრაქტატების ძველი ქართული თარგმანი // მრავალთავი . – 2001 . - №19 . – გვ. 171 – 175. რეზ. ინგლ. ენაზე.

XII ს. გელათურ ხელნაწერში შემავალი ერეტიკოსთა წინააღმდეგ მიმართული მოკლე დოგმატურ-პოლემიკური თხზულებების ტექსტის ანალიზი. მისი შეჯერება ბერძნულ ორიგინალთან და სხვა თარგმანებთან.

122. მაჭავარიანი ე. შავი მთის მწიგნობრული სკოლის მხატვრული ტრადიციების ასახვა XII ს. გელათის ოთხთავში // მრავალთავი . – 2001 . - №19 . – გვ. 47 – 57. რეზ. რუს. ენაზე.

ხელნაწერის დასურათების პრინციპები, შემკულობის საერთო სიმბოლური გააზრება და მხატვრულ-დეკორატიული თავისებურებების დახასიათება.

123. მიქაბერიძე ა. , ქებურია ს. ათონის ივერთა მონასტრის საგანძურიდან // ქართული დიპლომატია : წელიწადეული : 10. – თბ. , 2003 . – გვ. 53 – 79 . – რეზ. ინგლ. ენაზე.

აფხაზეთის კათალიკოს ექვთიმე საყვარელიძის (ეფთჳმე მოქველი, მე-16 – მე-17 სს.) დაკვეთით შესრულებული ბერძნული ხელნაწერი სახარების აღწერილობა.

124. სამყურაშვილი ლ. »ხუარაზმშაჰის საუნჯის« ქართული ვერსიის დათარიღებისათვის // მრავალთავი . – 2001 . - №19. – გვ. 87 – 95. რეზ. რუს. ენაზე.

მატენადარანის ფონდების ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული

სამკურნალო კრებული (XV ს.) ; ტექსტის შესწავლა მისი ქართულად თარგმანის თარიღის დადგენის მიზნით.

125. სიხარულიძე ლ. მოსკოვში დაცული XI საუკუნის ერთი ქართული «სახარების» შესახებ // კავკასიის მაცნე . – 2004 . - № 10 . – გვ. 126 – 129. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

პ. შუკინის სახელობის ისტორიულ მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერი) C : шук – 760-ის აღწერილობა: ყდის ჭედურობა, მინიატურები, ტექსტის გაფორმება და სხვ.

126. ტარიელაშვილი გ. ზოგიერთი ტერმინისათვის გელათურ ტექსტებში და მეტაფრასტული კრებული იოანე ქსიფილინოსისა // ქართველური მემკვიდრეობა . - 2002 . – ტ. 6 . - გვ. 166 – 174. რეზ. ინგლ. ენაზე.

იოანე ქსიფილინოსის კრებულის თარგმანის ქრონოლოგიური ფარგლები და მთარგმნელის ვინაობა.

127. ქადაგიძე მ. «ქართლის ცხოვრების» ჭალაშვილისეული ხელნაწერის ზოგიერთი თავისებურება // ანალები . – 2001 . - № 2 . – გვ. 11 – 15. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული «ქართლის ცხოვრების» ერაჯ ჭალაშვილისეული ნუსხა (Q – 207 – XVI-ის I ნახ.), შედარება ანასეულ «ქართლის ცხოვრების» ნუსხასთან (Q – 795 – XVI-ის ბოლო XVIII-ის I ნახ.) . ნუსხების შედარების შედეგად Q – 207-ის უფრო ადრინდელ ხელნაწერად მიჩნევა.

128. ცერაძე თ. ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ // ACADEMIA : ისტორიულ – ფილოლოგიური ჟურნალი . – 2003 . – ტ. 5 (A) . – გვ. 46 – 49.

იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული ქართული და ბერძნული ხელნაწერების კვლევის შედეგები.

129. ცინდელიანი უ. მეფეთას 22 – 25-ე თავების მიმართებისათვის უცხო წყაროებთან : (II ნაწილი) // მრავალთავი . – 2001 . - № 19 . – გვ. 176 – 185. რეზ. გერმ. ენაზე.

«მეფეთა წიგნების» (ძველი აღთქმა) ქართული თარგმანის (ოშკური ხელნაწერი) შეჯერება სომხურ, ბერძნულ და რუსულ ვერსიებთან.

130. ცოფურაშვილი თ. ერთი ხელნაწერის წარმომავლობისათვის // ამირანი . – 2005 . - № 13 . – გვ. 133 – 145. რეზ. ინგლ. ენაზე.

431 წელს ეფესოში ჩატარებული III მსოფლიო კრებისადმი მიძღვნილი H-307 ხელნაწერი: გიორგი ათონელის მიერ მისი თარგმანის საკითხი: ანტონ I-ის ღვაწლი ტექსტის გადაწერისა და შესწავლის საქმეში.

131. ცხადაძე დ. , ცერაძე თ. «ოქროს ოთხთავი» იერუსალიმის წმ. საფლავის ეკლესიის საგანძურიდან // ACADEMIA : ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი . – 2003 . – ტ. 5 (A) . – გვ. 50 – 53.

აქამდე უცნობი ქართული ოთხთავის აღმოჩენა მაცხოვრის საფლავის საგანძურში. ხელნაწერისა და მასში მოთავსებული მინიატურების აღწერილობა. ცნობები შემომწირველის, ქართველი დიდებულის გიორგი აბაშიძისა და მისი მეუღლის გულქან ლორთქიფანიძის შესახებ.

132. ჭუმბურიძე ზ. ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ . – თბ. , 2000 . – 395 გვ.
რეც. : ზურაბ ჭუმბურიძე, «ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“ , თბილისი ,
2000 წ. // მრავალთავი . – 2001 . - № 19 . – გვ. 439 – 450.

133. ხახუტაიშვილი მ. გაბრიელ გელოვანის ენა და სტილი // ლიტერატურული
აქარა . – 2001 . - № 5 . – გვ. 90 – 94.

ძველი და ახალი ქართული ფორმების მონაცვლეობა გაბრიელ გელოვანის (XVIII ს.) «გეოგრაფიის“ რუსულიდან ქართულ თარგმანში. განხილულია თბილისის ხელნაწერთა და პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებში დაცული ხელნაწერები.

134. ხევსურიანი ლ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანის ავტოგრაფული ნუსხის საკითხისათვის // ლიტერატურული მიეზანი : 22 . – 2001 . – გვ. 75 – 83. რეზ. ინგლ. ენაზე.

ანდრია კრიტელის დიდ გალობათა გიორგისეულ თარგმანზე დართული ანდერძის ანალიზი და მისი ზოგიერთი მონაცემის შეფარდება ხელნაწერში არსებულ რეალურ ვითარებასთან. ხელნაწერის ავტოგრაფულობის საკითხის განხილვა.

135. ხევსურიანი ლ. კვლავ Sin 34-ის შედგენილობის შესახებ // მრავალთავი . – 2001 . - №19 . – გვ. 3 – 12. რეზ. რუს. ენაზე.

სინას მთაზე X საუკუნეში გადაწერილი ლიტურგიკული კრებულის თავდაპირველი შედგენილობის აღდგენის ცდა ხელნაწერის სხვადასხვა ნაწილში გაბნეული იოანე – ზოსიმეს მიერ შესრულებული შენიშვნებისა და განმარტებების საფუძველზე.

136. Khintibidze E. Georgian Manuscripts on Mount Athos : Hitherto Unknown Old Georgian Manuscripts in the Iviron Library // ქართველოლოგი . – 2001 . - № 8 . – გვ. 16 – 20.

ათონის მთის ქართული ხელნაწერები : დღემდე უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები ივირონის წიგნთსაცავში.

137. Shanidze M. Georgian Manuscripts at St.Catherine’s Monastery on Mt.Sinai // ქართველოლოგი . – 2002 . - №9 . – გვ. 22 – 29.

ქართული ხელნაწერები სინას მთის წმ. კატერინას მონასტერში.

ფილოსოფიური მეცნიერებები

138. დოდაშვილი ს. თხზულებანი . – თბ. : სახ. უნ-ტი , 2001 . – 510 გვ.

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია მოკლე გამოკვლევა სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; ს. დოდაშვილის თხზულებები, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წერილები, საარქივო მასალები, ბიბლიოგრაფია, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები და ლექსიკონი.

139. ესთეტიკისა და კულტუროლოგიის საკითხები : კრებული ეძღვნება პროფ. ნიკო ჭავჭავაძის ხსოვნას . – თბ. : სახ. უნ-ტი, 2002 . – 242 გვ.

ნ. ჭავჭავაძის, ჯ. კორძაიას, ა. ტყემალაძის, მ. ამბოკაძის და სხვ. წერილები ე. კანტის, ნიკო ჭავჭავაძის, ესთეტიკური ცნების, ცნობიერების ასოციაციური აქტივობის და სხვ. შესახებ.

140. «ვისწავლოთ პიროვნებად ყოფნა“ : ნიკო ჭავჭავაძე . – თბ. , 2002 . – 255 გვ.

ნიკო ჭავჭავაძე – მეცნიერი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე.

141. კოდუა ე. ბიძინა რამიშვილი, 100 . – თბ. : სახ. უნ-ტი , 2001 . – 51 გვ.

ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, მეცნიერებათა დოქტორ ბიძინა რამიშვილის საქმიანობა გერმანიაში და სხვა ბიოგრაფიული პერიპეტიები.

142. კოტე ბაქრაძე : (მოგონებანი და განაზრებანი საიუბილეო თარიღთან (100 წ.) დაკავშირებით) . – თბ. : სახ. უნ-ტი , 2002 . – 180 გვ.

კოტე ბაქრაძე _ მეცნიერი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და პიროვნება. მოწაფეების წერილები და მოგონებები.

143. ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი . – თბ. : ოაზისი , 2000 . – 240 გვ.

რეც. : შარვაძე ბ. მთხლეობის ემანაცია: (ანტიმეტაფიზიკური განაზრებები «ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონზე“, «ოაზისი“, თბილისი, 2000 წ.) : სევდიანი ვარიანტი . – თბ. , 2001 . – 108 გვ.

144. ჭელიძე მ. ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით . – თბ. : სახ. უნ-ტი , 2002 . – 330 გვ.

ეროვნული გონის რაობის, ურთიერთობათა ადაპტაციის, ქართული ხასიათის და კულტურის ფილოსოფიურ-ისტორიული ანალიზი ქართველი ინტელექტუალების ნააზრევში.

145. Додаева – Магарская А. Помни род свой ... хроника рода Додашвили. – М. : Новый ключ, 2000 . – 184 с.

Жизнь и деятельность грузинского просветителя, философа и журналиста Соломона Додашвили.

146. 1930-იანი წლების წერილები : შალვა ნუცუბიძე (1888 – 1969) // კრიტიერიუმი . – 2001 . - № 3 . – გვ. 75 – 77.

1939 წელს, მოსკოვიდან გამოგზავნილი ბარათები ოჯახის წევრებისადმი.

147. ალექსიძე ლ. საღვთო ნებანი ანუ «იგავნი“ არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში // მრავალთავი . – 2001 . - № 19. – გვ. 342 – 350.

დიონისე არეოპაგელის _ «სადმრთოთა სახელთათბს” – დართული კომენტარები.

148. ბეჟანაშვილი გ. , მჭედლიშვილი ლ. გურამ თევზაძე – მეცნიერი და პედაგოგი // კავკასიის მაცნე . – 2002 . - № 6 . – გვ. 233 – 235. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ფილოსოფოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გ. თევზაძის ბიოგრაფია და მეცნიერული მოღვაწეობა. დაბადების 70 წლისთავის გამო.

149. ბერია ნ. იოანე პეტრიწის მიერ გამოყენებული ლოგიკური კანონები : («განმარტებაჲ პროკლესათჲს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჲს» მიხედვით) // კავკასიის მაცნე . – 2004 . - № 10 . – გვ. 11 – 17. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

150. თევზაძე გ. იდეოლოგია და კომენტარი შუა საუკუნეების საქართველოში : (X – XII ს. ს.) // ანალები . – 2002 . - № 1 . – გვ. 18 – 25. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

«კომენტარი», როგორც ტექსტის გარკვევის, განმარტების, ამოხსნის თუ გაგების სხვადასხვა წესი: 1. იდეოლოგიური, რომელიც შეუმოწმებადია (იოანე ზოსიმეს ქართული ენის კონცეფცია), 2. მეცნიერული, შემოწმებადი კომენტარი.

151. კვატაია მ. ვიქტორ ნოზაძის ესთეტიკური ნაშრომი «მშვენიერების თეორიები» // ლიტერატურული ძიებანი : 22. – 2001. – გვ. 489 - 498.

მშვენიერების რაობა და მისი ესთეტიკური იდეალი სხვადასხვა ხალხსა თუ ეპოქაში. პუბლიკაციას ერთვის თხზულების ფრაგმენტი.

152. ნოზაძე ვ. სილამაზე დასავლეთში / პუბლიკაცია მოამზადა მ. კვატაიამ // კრიტერიუმი . – 2001 . - № 3 . – გვ. 121 – 129.

ფრაგმენტი ვ. ნოზაძის არქივში დაცული ესთეტიკური თხზულებიდან «მშვენიერების თეორიები».

153. ჟღენტი თ. შემოქმედებითი საქმიანობის ცნების განსაზღვრისათვის // კავკასიის მაცნე . – 2002 . - № 6 . – გვ. 80 – 83. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ფსიქოლოგიური, ესთეტიკური და პედაგოგიური ასპექტები დ. უზნაძის ნაშრომის მაგალითზე.

154. რობერტსი ს. ე. გურჯიევი საქართველოში // კრიტერიუმი. – 2002 . - № 6 . – გვ. 77 – 79.

XX ს. 10-იანი წლების დასასრულს, მისტიკოს და ფილოსოფოს გიორგი გურჯიევთან ერთად საქართველოში, კერძოდ, თბილისში გატარებული დღეების გახსენება, იმდროინდელი ლიტერატურული, კულტურული თუ საყოფაცხოვრებო ყოფის დახასიათება.

155. სირაძე რ. დრო და ჟამი // ლიტერატურული ძიებანი : 22. – 2001 . – გვ. 20 – 33. რეზ. ინგლ. ენაზე.

დროსთან დაკავშირებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური პრობლემები და დროის სახისმეტყველებითი კონცეფცია იოანე პეტრიწის «განმარტების» მიხედვით.

რ ე ლ ი გ ი ა

156. ასე გალობდნენ ძველად საქართველოში : ბიზანტიური გალობის ისტორიული გზა საქართველოში : ნაწ. 1 . – თბ. , 2001 . – 71 გვ.

ქართული საეკლესიო გალობის ისტორია კათოლიკე-სამოციქულო ეკლესიის გალობის ისტორიასთან მიმართებაში.

157. ბედიამვილი თ. საგარეჯოს რაიონში მოღვაწე სასულიერო პირები : (XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი) . – [ად. არ. , წ. არ.] . – 41 გვ.

ცნობები ეპარქიის ბლაგოჩინ ივანე ბედიამვილის გვარის წარმომავლობისა და ოჯახის შესახებ. დავით გარეჯის ლავრის უკანასკნელი წინამძღვრის, ბერ გერმოგენისა (გიორგი არჩილის ძე აბაშიძე) და დეკანოზ ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

158. ბენდელიანი მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30 – 40-იან წლებში . – თბ. , 2002 . – 176 გვ.

საბჭოთა წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი მომენტები და სხვ.

159. ბიბლია : ძველი და ახალი აღთქმის წიგნები . – თბ. : ს. ბ. ს. , 2001 . – 1410 გვ.

160. ბუბულაშვილი ე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე: (ცხოვრება და მოღვაწეობა) [1762 – 1827 წწ.] . – თბ. : მემატთანე , 2002 . – 199 გვ.

161. დიასამიძე ბ. უძველესი საეკლესიო ცენტრები დასავლეთ საქართველოში . – ბათუმის უნ-ტი , 2000 . – 130 გვ.

უძველესი საეკლესიო ცენტრების (პიტიუნტი, ფაზისი, სებასტოპოლისი, პეტრა) წარმოშობა და ფუნქციონირება, მათი მნიშვნელობა ეგრისის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.

162. ედილაშვილი ც. გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებები . – თბ. : ცოდნა , 2001 . – 40 გვ.

მე-19 საუკუნის რელიგიური და საზოგადო მოღვაწის (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძის) ცხოვრება და საქმიანობა.

163. მამისთვალისძვილი ე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია : (ქართული პერიოდი) . – გორი : გორის სახ. უნ-ტი , [2002] . – 125 გვ.

ჯვრის მონასტრის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდები და დღეს შემორჩენილი ან უკვე დაკარგული ფრესკებისა და წარწერების ფოტოპირები.

164. როგავა გ. რელიგია და ეკლესია საქართველოში : დამხმარე კურსი საშ. და არასპეც. უმაღლ. სკოლისათვის . – თბ. : მერანი _ 3 , 2000 . – 160 გვ.

საქართველოს ეკლესიის განვითარების ძირითადი ეტაპები, ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების, მისი ავტოკეფალიად ჩამოყალიბების პროცესი, ეკლესია-მონასტრების როლი ქართული კულტურის განვითარებაში; საქართველოს ეკლესიისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობის მდგომარეობა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა დიქტატურის პირობებში.

165. სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში : გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი: საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისის უნივერსიტეტი, 2000 წლის სექტემბერი. – თბ. , 2001 . – 275 გვ.

ნაშრომები ტოპონიმ «გარეჯას», გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ცხოვრების, ძეგლის ფერწერისა და ფრესკების რესტავრაციის შესახებ.

166. სოხაძე ნ. გრიგოლ დიდის «დიალოგონი» . – თბ. , 2002 . – 195 გვ.

რომის პაპის გრიგოლ დიდის (VI ს.) თხზულების ქართული რედაქციების ანალიზი.

167. ფანასკერტელი – ციციშვილი ო. მელიტონ კელენჯერიძე . – თბ. , 2001 . – 66 გვ.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელთა ერთ-ერთი წარმომადგენლის – საზოგადო და სასულიერო მოღვაწის ცხოვრება და საქმიანობა.

168. ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ . – თბ. : მეცნიერება , 2001 . – 288 გვ.

დიონისე არეოპაგელის ერთ-ერთი ნაშრომის «ზეციური იერარქიის» ეფრემ მცირისეული თარგმანის სქოლიოთა ტექსტობრივი შესწავლა და ბერძნულთან შეპირისპირება.

169. ქართული საეკლესიო გალობა . – თბ. : საქ. საპატრიარქო საეკლესიო გალობის ცენტრი , 2002 . – 19 გვ.

2001 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები საეკლესიო გალობის კანონიკის, ქართული მრავალხმიანობის, საეკლესიო მუსიკაში დოგმის და ტრადიციის და ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების ეტაპების შესახებ.

170. შაორშაძე მ. წმ. იოანე მანგლელი (სააკაძე) . – თბ. , 2000 . – 32 გვ.

XVIII საუკუნის I ნახევრის საეკლესიო პირის, მანგლისის ეპარქიის ეპისკოპოს წმ. იოანე მანგლელის ცხოვრება და მოღვაწეობა.

171. ცაიშის საკათედრო ტაძარი: ცაიშის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრისა და ცაიშის ეპარქიის ისტორიიდან . – ზუგდიდი – ცაიში , 2001 . – 69 გვ.

172. ჯაფარიძე ა. ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად . – თბ. : საქ. საპატრიარქოს მანგლის – წალკის ეპარქია , 2001 . – 18 გვ.

ცნობები ქვეყნად მხსნელის მოვლინების შესახებ ქართველთა წინაპრებსა და სამეფო ოჯახებში «ძველი აღთქმისა“ და «ქართლის ცხოვრების“ მიხედვით; ერთვის ვახტანგ გოილაძის დასკვნა ავტორის ნაშრომზე.

173. Santa Nino e la Georgia: Storia e spiritualita' cristiana nel Paese del Vello d'oro : Atti de I convegno intern. Di studi Georgiani Roma 30 genn. 1999/ A curadi elada shurgaia. - Roma : Antonianum , 2000 . – 206 p.

წმინდა ნინო და საქართველო.

174. აბაკელია ნ. ერთი მივიწყებული სიმბოლოს ქრისტიანული ინტერპრეტაციისათვის : (კურდღელი, როგორც იეროფანია) // ACADEMIA : ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი . – 2002 . – ტ. 4 . – გვ. 18 – 24. რეზ. ინგლ. ენაზე.

კურდღლის, როგორც სიმბოლოს მნიშვნელობათა სიმრავლე ადრექრისტიანულ

და ქრისტიანულ ხანაში; ქართულ ტრადიციაში კურდღლის მოტივი გავრცელებულია V – XI სს. ქრისტიანულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

175. აბაშიძე ე. «ტაიცი“ და შუასაუკუნოვანი ქართული საისტორიო ტრადიცია // კლიო . – 2001 . - № 11 . – გვ. 3 – 11. რეზ. რუს. ენაზე.

განხილულია სტეფანოზ ორბელიანის «სივნიეთის ისტორიის“ 66-ე თავი, რომელიც წარმოადგენს «ორბელიანების ისტორიას“. მოყვანილ ნაწყვეტში ასახულია მხატვრული სახე «ტაიცი“ – ჩინური მითოლოგიურ-რელიგიური ტრადიციის სიმბოლო.

176. აბრაამი. მაცხოვრის შობის 2000 წელი // საისტორიო მოამბე . – 2000 – 2001 . - № 73 – 74. გვ. 21 – 27.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში საეკლესიო გადმოცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით. მოკლე ექსკურსი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში.

177. აბულაძე ქ. ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა და რელიგიური აღმსარებლობა საქართველოში = Abuladze K. The Jewish, legality and religious conlesion in Georgia // ამირანი . – 2005 . - № 12 . – გვ. 61 – 67.

ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ.

178. აბულაძე ც. წმინდა მიწის ქართული კოლონიის ისტორიისათვის : ოსმალური საბუთების მიხედვით // ACADEMIA : ისტორიულ – ფილოლოგიური ჟურნალი . – 2003. . – ტ. 5 (A) . – გვ. 54 – 57.

179. ალასანია გ. რელიგიური «შეუწყნარებლობა“ და ეთნიკური ტოლერანტობა შუა საუკუნეებში : (საქართველოს მაგალითზე) // ქართველური მემკვიდრეობა . - 2001 . – ტ. 5 . - გვ. 18 – 27. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველი ერის მიერ მართლმადიდებლური სარწმუნოების შენარჩუნება ისტორიული პოლიტიკური ფრაგმენტაციისა და რელიგიური სიჭრელის პირობებში.

180. ალექსიძე ზ. მანდილიონი და კერამიონი ძველ ქართულ მწერლობაში // ACADEMIA : ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 9 – 13. რეზ. ინგლ. ენაზე.

